

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 15

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

18 ივლისი 2018 წელი
12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: გელა ჩიკვაძე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - კომისიის უზუცესი წევრი ოლეგი მიქელთაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კვაკაბიძე

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტისა და ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: /ტარიელ ბარამიძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II-ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებული რაგბის მოედნისა და ტრიბუნებისთვის (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი ივანიაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

6. ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-6 ქუჩისთვის (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გმირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

7. სხვადასხვა

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენებები:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტისა და ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა, მომხსენებელმა განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილების შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშავა ქონების ინვენტარიზაციის და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი, რომელიც შედგება 7 მუხლისაგან და შეესაბამება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესს“.

ასევე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ჯგუფში შევლენ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, მდივანი და ჯგუფის წევრები ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერის თანამშრომლები.

კომისიის თავმჯდომარეს წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტისა და ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განხილვა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

მოხსენებები:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი

სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს კერძოდ აიტი სპეციალისტს მოემატოს ხელფასი 50 ლარით და გაუხდეს 700 ლარი.

კომისიის თავმჯდომარეს წარმოდგენილი მეორესაკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს;

დამტკიცდეს და ცვლილება შევიდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში

/დანართი N3/

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II-ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებული რაგბის მოედნისა და ტრიბუნებისთვის (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ვანის მუნიციპალიტეტში ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II - ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებულ რაგბის მოედანსა და ტრიბუნებს (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) მიენიჭოს ბეჟან ხურციძის სახელი. კომისიის თავმჯდომარეს წარმოდგენილი მესამე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს;

კომისიამ განიხილა და მიზანშეწონილად მიიჩნია ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულში სოლომონ II-ის ქუჩის N55 და N65 დამისამართებულ ობიექტებს შორის არსებული რაგბის მოედნისა და ტრიბუნებისთვის (საკადასტრო კოდით N31.01.30.188) ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭება.

/დანართი N4/

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი ივანიაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე და მომხსენებელმა განმარტა, რომ მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩას (I ჩიხის ჩათვლით) მიენიჭოს 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი ივანიაძის სახელი. კომისიის თავმჯდომარეს წარმოდგენილი მეოთხე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს;

კომისიამ განიხილა და მიზანშეწონილად მიიჩნია ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-4 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2011 წლის 24 მაისს საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავღანეთში ჰიმლენდის პროვინციაში გმირულად დაღუპული ლავროსი ივანიაძის სახელის მინიჭება.

/დანართი N5/

მოხმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე და განმარტა, რომ მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩას (I ჩიხის ჩათვლით) მიენიჭოს 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელი. კომისიის თავმჯდომარეს წარმოდგენილი მეხუთე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს;

კომისიამ განიხილა და მიზანშეწონილად მიიჩნია ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-10 ქუჩისათვის (I ჩიხის ჩათვლით) 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სოფელ შინდისში გმირულად დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭება.

/დანართი N 6/

მოხმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-6 ქუჩისათვის (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გმირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე და განმარტა, რომ მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ვანის მუნიციპალიტეტის ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული

მე-6 ქუჩას (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) მიენიჭოს 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გამირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელი.

კომისიის თავმჯდომარეს წარმოდგენილი მეექვსე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს;

კომისიამ განიხილა და მიზანშეწონილად მიიჩნია ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულში არსებული მე-6 ქუჩისთვის (ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხების ჩათვლით) 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქალაქ ცხინვალში გამირულად დაღუპული დავით დვალიშვილის სახელის მინიჭება.

/დანართი N7/

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ოლეგი მიქელთაძე

**საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის უხუცესი წევრი**